ხუთშაბათი 25 ივნისი 1915 წ.

სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით: ქ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ, 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 113 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 113

ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

იყიდება მამული

ზომით 1020 ოთხკუთხი საჟენი, 1 ქვისა და 2 ხის სახლით, ინჟინრის ქუჩაზე, უფასო სასწავლებლის ახლოს. პირობების გაგება იქვე შეიძლება. 5—1—493

გაბრიელ იოსების ძე **ექიმი გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

კბილის ექიმები მენაღარიშვილი და ტრუფანოვა ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მიხეილ კაშია კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილს ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ

ომის დღიური.

გუშინდელ დეპეშაში ნახსენები იყო, რომ ავსტრო-გერმანელებმა კრასნიკსა და ვეპრჟის ფრონტზე წინ წაიწიეს. ამით ისინი ლიუბლინ-ხოლმის ხაზს დაუახლოვდენ. გალიციის ბრძოლების შემდეგ რუსის ჯარი უკან იხევდა და ისეთ ადგილს ეძებდა, რომელიც ერთნაირ ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა, რომ ასეთ ადგილზე სამხედრო კომბინაციები გაევითარებინა და მტრის წინსვლაც შეეჩერებინა. ლიუბლინ-ხოლმის გზა სტრატეგიულათ არც ისე დიდ მნიშვნელოვანია, რომ ამ ადგილზე რუსის ჯარს მედგარი წინააღმდეგობა გაეწია და გადამჭრელი ბრძოლა მიეღო. ამიტომ აქედან მან უკან დაიხია. რასაკვირველია, მტრისათვის ამ ხაზზე წინ წაწევა დიდს წარმატებას არ ნიშნავს და ახლა ისინი შეეცდებიან დაუახლოვდენ ბრესტისა და ივანგოროდის სიმაგრეებს. ორივე ეს სიმაგრე ვარშავს იცავს. ავსტრო-გერმანიის არმიას რომელიმე პუნქტის აღება დიდს წარმატებას ვერ მიანიჭებს, სანამ რუსეთის არმია ერთ მთლიან კომპაქტიურ მასსას წარმოადგენს. ამისთვის მათ სტრატეგიულათ არ აინტერესებს რომელიმე ადგილის, ან მნიშვნელოვანი ქალაქის აღება, თუმცა ამას მათთვის დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობაც ქონდეს, მათი საბოლოო მიზანი უფრო ფართოა: მათ სურთ რუსის ჯარი საბოლოო ბრძოლაში ჩაითრიონ და გაანადგურონ. ამ მიზნისთვის ისინი ხშირათ ისეთ კომბინაციებს მიმართავენ, რომელიც ერთი შეხედვით უცნაურია. ისინი სცდილობენ რუსის ჯარი რამდენიმე ნაწილათ დაჰყონ, ამით მისი მთავარი ძალები შეასუსტონ, და ისეთ ადგილას შეუტიონ, სადაც მტერი უფრო სუსტია. ხშირათ ასეთ შეტევას მხოლოდ დემონსტრატიული ხასიათი აქვს და ხშირათ ისეთ ადგილებს პირველათ უყურადღებოთ ტოვებენ, რომლებიც ბოლოს ბრძოლის ცენტრათ იქცევიან ხოლმე. ასეთ სახიფათო ოპერაციების დიდძალი ჯარები სჭირდება და პირდაპირ გასაოცარია, თუ როგორი რისკით იწყებენ ავსტრო-გერმანელები ასეთ ოპერაციებს: ერთი ფრონტიდან ჯარის მეორე ფრონტზე გადაყვანას. ამ ჟამათაც, ჩრდილოეთით გერმანელებმა განაცხოველეს მოქმედება. მაგ. მათი მოქმედება ლომჟის რაიონში, ედვაბნოში და მედგარი იერიშები ოსოვეცის ციხეზე. აქ ალბათ ჯარების კონცენტრაცია—შეჯგუფება ხდება, რომ ამით გერმანელები ბელოსტოკს დაემუქრონ. რუსეთის ჯარისთვის ხელსაყრელი არ იქნება დიდი და გენერალური ბრძოლის მიღება. ამისათვის უნდა ველოდეთ, რომ რუსის ჯარი კიდევ უკან დაიხევს, სანამ მისთვის ხელსაყრელი პირობები არ დადგება. ტერიტორიის დაკარგვას თუმცა მორალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სტრატეგიისთვის გადამჭრელი არ არის.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 25 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი ცირკის ცხოვრებიდან

საშინელების არენაზე.

დრამა 4 ნაწილ დადგმულია „ნორდისკის“ ცნობილ რეჟისორის **ალ. ლინდის** მიერ. ეს სურათი დიდის წარმატებით იქნა დადგმული მოსკოვს, პეტროგრადს და ბაქოში.

ძმათა **ყორყოლაძეების** მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

კავკასიის ასპარეზი.

თბილისი. 22 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 20 ივნისს. ზღვის პირის გზაზე სროლა ხდება. სოფელ ავზაზიკის დასავლეთით, ყარადერბენტის რაიონში ჩვენმა ცხენოსანთა რაზმმა ორ სუვართა ესკადრონზე იერიში მიიტანა, არივდარია და უკუაქცია. ესკადრონმა თან ქვეითი ჯარი გაიყოლა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

გემების ჩაძირვა.

პლიმუტი. 21 ივნისი. „რეინრუსა“ და „ლარჩმორის“ მეზღვაურები გადმოიყვანეს ნავთ სადგურში. ეს გემები გერმანელთა წყალქვეშას მიერ დაიღუპნენ. გემები სცდილობდნენ გაქცევას, მაგრამ წყალქვეშა წამოეწია მათ და ძლიერი ცეცხლით არ მოასვენა, ერთი მეზღვაურთაგანი „დარჩიკზე“ მოკლულია, მეორე დაჭრილია.

უნგენი. 21 ივნისი. სტამბოლიდან იუწყებიან. ტყვია-წამალი დიდად შემოგვაკლდაო. მართალია, რუმინია-ბოლგარიიდან გააქვთ პატარ-პატარა სამხედრო კონტრაბანდა, მაგრამ ამითი მაინც შეუძლებელია ყველა ფრონტზე საჭირო მასალა მიაწოდონ, განსაკუთრებით დარდანელში, სადაც სამხედრო მასალა მხოლოდ ორი კვირის სამყოფი დაა. თუ ავსტრიიდან შესწყვეტენ სამხედრო კონტრაბანდის შეტანას, მაშინ დარდანელისა და სტამბოლის ბედი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

რომი. 21 ივნისი. ტიროლ-ტრენტინის რაიონში და კარნიაში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. გენზელის ფორტი გუშინ რამდენჯერმე გახვეულ იქმნა ზარბაზნის ცეცხლში. პალგრანდეს ჩრდილოეთ ფერდობზე ავსტრიელებმა ხელახლა იერიში მოიტანეს. მათ ზურგს უმაგრებდა ძლიერი არტილერია. იტალიელებმა იერიში მოიგერიეს. კაზრინის მწვერვალებზე ავსტრიელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. იტალიელებს ტყვედ ჩაუვარდათ 500 ჯარისკაცი, 2 ზარბაზანი, მრავალი თოფი და ტყვია-წამალი.

ავსტრიელთა ჰიდრო-ჰაეროპლანი გამოჩნდა ალბერონში, მაგრამ მას დაედევნენ ფრანგ-ინგლისელთა ჰაეროპლანები და ციხეებიდან კიდევ ზარბაზნის ტყვია დაუშინეს. ჰიდრო-ჰაეროპლანი გაიქცა, აღმოსავლეთით რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, თუმცა ზარალი არავისთვის არ მიუყენებია.

აეროდრომის დანგრევა.

სტოკჰოლმი. 22 ივნისი. გაზეთი „ტელეგრაფი“ იტყობინება: გერმანიის ჰაერო-დრომი გისტელში ოსტენდედან სამხრეთით მოკავშირების მფრინავებისგან დანგრეულია.

ათინა. 21 თიბათვე. მოკავშირების არტილერია ოსმალთა რაზმს ფანტავს, კონსტანტინეპოლს მრავალი დაჭრილი მოჰყავთ ბევრი კვდება.

შვეციის პროტესტი

პეტროგრადი. 22 ივნისი. შვეციის ელჩმა პეტროგრადში განაცხადა: 19 ივნისს მომხდარ საზღვაო ბრძოლის დროს, კუნძულ გოტლანდის ახლო, როდესაც რუსის გემები უკან დაედევნენ გერმანელთა სამხედრო გემს, მათგან ნასროლმა ყუმბარამ გადაიარა შვეციის კუნძული ოსტგარნი და ჩავარდა წყალში ნაპირიდან 200 მეტრზე. ამიტომ, მე, შვეციის მთავრობის სახელით, პროტესტს ვაცხადებ შვეციის ნეიტრალიტეტის ამნაირად დარღვევის გამო. ამასთანავე ელჩმა აღნიშნა, რომ ჩვენმა მთავრობამ ზომები მიიღო გოტლანდთან გარიყულ გერმანელთა გემის იარაღის ახსნელად და ეკიპაჟის შვეციაში წასაყვანად.

ყველა ამის გამო საიმპერატორო მთავრობამ გულწრფელი სინანული გამოსთქვა შვეციის ელჩის წინაშე და განმარტა, რომ ზემოხსენებული ამბავი მომხდარა ხშირ ნისლის გამო, რაიცა ხელს უშლიდა მიზანში ამოღებასაც. ამასთანავე შვეციის ელჩი დაარწმუნეს, რომ ზემოხსენებული ამბავი მხოლოდ ფრიად სამწუხარო შემთხვევაა და რუსეთი მტკიცედ მოწადინებულია და დაიცავს კიდევაც შვეციის ნეიტრალიტეტს.

სპარსეთი.

თეირანი. 21 ივნისი. რადგან მეჯლისის ნაწილი წინააღმდეგობას თავს არ ანებებს ეინუდ-დოულემ ხელ ახლა სთხოვს შაჰს კაბინეთის გადადგომას. შაჰმა სასახლეში მიიწვია მეჯლისის თავმჯდომარე. დემოკრატების მეთაურმა სულეიმან-მირზამ განუცხადა დეპუტატებს, მე დარწმუნებული ვარ კაბინეთის გადადგომისაო. დემოკრატებს ზოგიერთნი მიემხრენ. რუსეთის, საფრანგეთის და ინგლისის ამ ორ მტერს პარტიათა საერთო კანდიდატი მუსტაფა ულ-მუმაკელია, რომელსაც ენერგიულათ მხარს უჭერენ გერმანელთა და ოსმალთა წარმომადგენელნი.

თეირანი. 21 ივნისი. ეინუდ-დოულეს კაბინეტი გადადგა. კაბინეტის შედგენა დაევალა მუსტაფა-ულ-მუმალეკს, რომელიც უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში მთავრობას სათავეში უდგა. კაბინეთში შევლენ ალაუს-სალტანე, სანსამეს-სალტანე და საიბ-იხტიარი. ეინუდ-დოულეს კაბინეთის არსებობა შეუძლებელი გახადა ინტრიგებმა.

სერბია.

ნიში. 21 ივნისი. 2 ივნისიდან 18-მდე სავასა და დუნაიზე რამდენიმე სერიოზული შეტაკება მოხდა, მოლდავის კუნძულზე, მიუხედავათ სასტიკი წინააღმდეგობისა, ავსტრიელნი დაკამარცხეთ და ტყვეთ ჩავიგდეთ ერთი აფიცერი, 3 უნტერ-აფიცერი და 29 უნგრელი ჯარისკაცი. ავსტრიელებმა ორი დღის შემდეგ შურის საძიებლად მიხარის კუნძული აიღეს. ხელთ იგდეს უნტერ-აფიცერი და 14 ჯარისკაცი. 14 ივნისს სერბიელებმა ისევ უკან დავიბრუნეთ მიხარის კუნძული. ტყვეთ ვიგდეთ 150 ჯარისკაცი. დანარჩენ ფრონტებზე ერთხელ კიდევ გამოჩნდა სერბიელთა ყოჩაღობა და გმირობა.

სკუტარი.

ცეტინიე. 22 ივნ. ჯარის უფროსმა, რომელმაც სკუტარი დაიჭირა ავსტრიის კონსულს წინადადება მისცა 24 საათში ქალაქიდან გასულიყო, კონსულმა პროტესტი განუცხადა, მაგრამ ხელმეორეთ განმეორებულ ბრძანების შემდეგ ქალაქიდან გავიდა ოჯახობით და საკონსულოს შემადგენლობით, ვოევოდა ბოგრონეჟ-ჟოვიჩი სკუტარის გუბერნატორათ დაინიშნა.

ბარკის ჩაძირვა.

ლონდონი. 23 თიბათვე. ნორვეგიის ბარკა „ფაიერსიკოს“ ერბოთ დატვირთული გერმანიის ნავისგან არის ჩაძირული. ეკიპაჟი გადარჩა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 22 ივნ. ოფიციალური. დილის 3 საათზე არასის ჩრდილოეთ რაიონში მტერი ორჯერ შეეცადა შემოტევას, დილის 10 საათზე ერთი იერიში სუშეს წინ ჩვენი პოზიციე-

ბის წინააღმდეგ იყო მომართული. გერმანელები თხრილებიდან გამოვიდნენ, მაგრამ იძულებული გახდენ ბრძოლის ველზე დახოცილთა მრავალი გვამი დაეტოვათ მეორე, იერიში, ლაბირინტზე მოტანილი, დაუყონებლივ შეჩერებული იქნა. გუშინ დღით და საღამოთი გერმანელებმა 5 კილომეტრის სიგრძეზე ჯარის პირს შემოუტიეს ფეანგედან მოზელამდე. ფეანგედან აღმოსავლეთით და ლეპრეტის ტყის დასავლეთ ნაწილში ერთი კილომეტრის სიგრძის პირზე მათ მოახერხეს ხელახლათ გამაგრებულიყვნენ წინანდელ თავის ხაზებზე, აქ მათ წინ ველარ წაიწიეს. კრუადეკარმიდან აღმოსავლეთით გოდერიეპტამდე მოზელზე გერმანელებისგან მოტანილი იერიში მოვიგერეთ და მტერმა დიდი ზარალი ნახა. საფრანგეთის საფოსტო გემი „კარტაჟი“ წყალქვეშა ნავმა ნაღმით ჩაძირა გელესის კონცხთან. 66 კაცი გადარჩენილია, 6 კაცი დაიღუპა. 22 ივნ. გერმანელების ორ წყალქვეშა ნავს ფრანგების ნაღმოსნებმა სროლა აუტეხეს ლამანშში. ერთ წყალქვეშა ნავს რამდენიმე ყუმბარა მოჰხვდა ვიდრე ჩაყურყუმალავდებოდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანია.

„ნორდ. ალგ. ცეიტ“-ი კიცხავს გერმანელ სოციალისტებს ზავის სასარგებლოთ მოწოდების გამოშვებისათვის. გაზეთი უკმაყოფილოა სამშობლოს ნამდვილი მდგომარეობის გამოაშკარავების და ირწმუნება, რომ გერმანიის სახელმწიფო ჯერ არ მოქანცულა და შეუძლია კიდევ განაგრძოს ომი; ხოლო თუ უკეთუ მოწინააღმდეგე სახელმწიფონი ზავის ჩამოგდებას მოითხოვენ, ჩვენ, რასაკვირველია, სიამოვნებით შევუდგებით ზავის პირობების განხილვასო.

გერმანიის „აგენტურა“.

„ტიმეს“ ნიუორკიდან ატყობინებენ, რომ მეზღვაურთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარემ ენდრიუ ფერსტედმა ვაშინგტონის მთავრობას აცნობა, რომ გერმანიის აგენტებმა წინადადება მისცეს ამერიკელ მეზღვაურებს გაიფიცონ ომის დასრულებამდი და თითო მეზღვაური ჯილდოთ მიიღებს კვირეში 2 გრ. სტერლინგს. ასეთივე წინადადებით აგენტებმა მიმართეს ნეიტრალურ სახელმწიფოების საზღვაო კავშირის მეზღვაურებსაც. ამ გაფიცვით სურთ ხელი შეუშალონ საჭირო ამუნიციის მიწვდას მოკავშირე სახელმწიფოთათვის.

ოსმალეთი.

ოდესიდან ცნობაა—კონსტანტინოპოლში გამოიცა საგანგებო ბრძანება, რომლითაც ომიანობის დროს კორპუსებისა და დივიზიების უფროსებს, მხარეში მშვიდობიანობის დაცვის მიზნით, მიენიჭათ სრული უფლება თავისუფალი მოქმედებისა, ყოველგვარ წინააღმდეგობისა და უკმაყოფილების ჩასაქრობათ.

— —

სულთანის სერიოზულმა ავათმყოფობამ ენვერისა და თალაათ-ბეის ბანაკში დიდი ალიაქოთი გამოიწვია ფიქრობენ, სულთანის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრე იუსუფი დასვან ტახტზე და რეგენტათ დაუნიშნონ მისი მონათესავე ენვერი. ამ ნაირათ სურთ თავიდან აიშორონ მოსალოდნელი ცვლილება და ექსცესები.

ავსტრიის დიპლომატია.

კონსტანტინოპოლიდან ცნობაა—ავსტრიის დიპლომატიას სურს ახალი დაპირებით იძულებულ ჰყოს ოსმალეთი იტალიის საწინააღმდეგოთ გამოვიდეს. პორტას განზრახვაა—ბოლომდი დაიცვას კეთილი განწყობილება იტალიასთან, თუმცა იტალიელების მდგომარეობა ოსმალეთში კრიტიკულია. შესაძლებელია ამ გარემოებამ მოულოდნელი არეულობა გამოიწვიოს.

სამხედრო ბეგარისაგან გათავისუფლება.

სევასტოპოლი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ, სანდერსის მოწადინებით, ყველა ქრისტიანი ჯარის კაცი ბრძოლაში მონაწილეობისაგან გაანთავისუფლეს. მათ მხოლოდ ამუშავებენ თხრილებზე. ოსმალეთის მთავრობა ძალიან ეჭვის თვალით უყურებს მათ.

სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის მთავრობამ სოც. დემ. პარტია გააფრთხილა და წინადადება მისცა მოსპოს პროპაგანდა ზავის ჩამოგდების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა პარტიის გამოჩენილ მეთაურებს დატუსაღებით ემუქრება.

„სამშობლოს“ კანტორისაგან.

მოვაგონებთ ჩვენს წლიურ ხელის მომწერთ, რომ

ვისაც შემდეგი ნახევარი წლის ხვედრი ფული (4 მ.) გადახდილი არ ექნება 1 ივლისამდი,

გაზეთის გზავნა მოესპობათ.

მობილიზაცია.

„სახალხო ფურცელში“ ძალთა მობილიზაცია მოხდა.

სამხედრო დროების მიხედვით, რედაქციაში გაწვეულ იქნენ ისეთი პირებიც, რომელთაც წერისა და მწერლობის ვადა ჯერ არ უწევდათ.

ვადაზედ ადრე გაწვეულ პირებში გამოჩნდა ისეთიც, რომელმაც კარიერა მეთაურების წესით დაიწყო.

და, რადგანაც ყოველი ქართველი მწერალი და მეტადრე მეთაური ყველაფერს თავიდან იწყებს და არა იქიდან, საიდანაც მან პირველად დაიწყო წერა, ბ-ნმა მეთაურმაც პირველად დასწერა:

— „ვინა ვარ მე?“

როდესაც მკითხველებმა გაიგეს ვინ არის ბატონი მეთაური, მან დასწერა:

„— ვინა ხარ შენ?“

ხოლო როდესაც მკითხველებმა გაიგეს ვინ არიან თვითონ მკითხველები, ბატონმა მეთაურმა დასწერა:

„— რა მოხდებოდა და როგორ წავიდოდა ისტორიის მსვლელობა, მოსეს რომ თავის კვერთხით მეწამული ზღვა არ გაეპო!“ —

თავი და თავი ეს იყო.

სხვა დანარჩენი საკითხები აქედან ლოღიკურათ გამომდინარეობდნენ და ერთი მეორეს ზედ მოჰყვა:

„— ჩვენა და ისინი“.

„— ისინი და ჩვენა“.

„— ქალები საზოგადოთ...“

ეს იყო წინა დღეს:

ხოლო მეორე დღეს:

„— ქალები კერძოთ.“

მერე იყო:

„სამოვარი და უთო,“

„პროგნოზი სიტუაციისა ინტუიციის მეთოდით“ და ათასი კიდევ სხვა საკითხი, რომელზედაც ყველა მორიგ „სახალხოელს“ უწერია.

ყოველ მეთაურს ქვეშ მოწერილი ჰქონდა:

— ესეც შენ!

ეს მთლათ მკითხველს შეეხებოდა.

და ნიშნავდა:

— როგორ, ეს თქვენა ბრძანდებით, რომ ბრძანებთ, „სახალხო ფურცელი“ კვდებაო! ვერ მოგვართვით!

ინტენსია შემოქმედებისა, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა სიცოცხლის უნარი ისეთი იყო რომ, თ. ღლონტმა წინადადებაც კი შეიტანა, გაზეთი დღეში ერთის მაგივრათ ორჯელ გამოეცათ.

გასაგებია რათაც!

დღეში სამი წერილის დაწერა მისის აზრით ადვილათ შესაძლებელი იყო და ისიც გაგრძელებებით.

მაგრამ ამ ზომის წინააღმდეგ ი. გედევანიშვილი გამოვიდა.

მისის აზრით, უპირველესათ, „გაგრძელებებით“, მხოლოდ დრამების წერა შეიძლებოდა, უმთავრესად კი წერა მხოლოდ „სხვათა შორის“, რომ კაცმა ვერც სიმართლეში დაგიჭიროს, ვერც ტყუილშიო

აქ დაიწყო ომი...

ფარსმან—ფარუხი

ებრაელის აზრი,

(გაგრძელება იხ. „სამშობლო“ № 12)

პატივცემულ მკითხველებს ეცოდინებათ, რომ, რაც პოლონეთი სამ ნაწილათ დაყვეს და მან დაკარგა თავისი მეფობა, იმ დღიდან მას არ ყოლია ევროპაში ისეთი ერთგული მებრძოლი თავისი ინტერესებისათვის, როგორიც იყო დანიის ცნობილი კრიტიკოსი გიორგი ბრანდესი. ოცდახუთი წელიწადი თავისი კალმით იგი იბრძოდა პოლონეთის აღდგენისათვის. 1907 წელს შემთხვევით შევხვდი ქალაქ ვარშავაში იმ დროს, როდესაც პოლონეთს თავის მეგობარი ბრანდესი ესტუმრება. მთელს ვარშავაში დუქნები დაკეტილი იყო და ქალაქს დღესასწაულის ელფერი ედვა: გრაფები, გრაფინიები, არისტოკრატობა და ინტელიგენცია, ბურჟუაზია და დაბალი ხალხი სულ მზადებაში იყვნენ; ვისაც შეხვდებოდი

მისი სურათი გულზე ეკიდა, რომელ ქუჩისაკენაც კი გაივლიდა სულ ვარდებით ეგებებოდნენ და გაიძახოდნენ: „გამარჯობა ჩვენს დიდებულ მეგობარსაო“, ახლა კი მის სახელს სულ წყევლა—კრულვით იხსენიებენ, ეს როგორ მოხდა? იმიტომ, რომ მათი მოქმედება დაწვრილებით შეიტყო და მისი დარიგება სრულიად არ მიიღეს და აიძულეს მათ წინააღმდეგ გალაშქრებულიყო.

წარმოიდგინეთ მეოცე საუკუნეში სამ მილიონ ებრაელობას ძალდატანებით უნდათ თავის ერზე თავისი ენასა და მისწრაფებებზე ხელი აალებინონ.

ნუ თუ არ წარმოუდგენიათ პოლონელების ანტისემიტებს ისპანიის ინკვიზიცია, რომ ათასობრივ სწვავდნენ უდანაშაულო ებრაელებს იმიტომ, რომ თავისი ერი დაეტოვებინათ, მაგრამ იწოდნენ და ერს კი არ ტოვებდნენ.

ორი ათასი წლის განმავლობაში მრავალტანჯული ებრაელები, რომლებიც დღეს ელიან ცივილიზაციის ძალით, კაცობრიობის განვითარებით და სიმართლის დამყარებით თავისუფლებას მიაღწიონ და ცოტათი მაინც ამოისუნთქონ დამშვიდებით, ახლა კიდევ ინკვიზიტორი ტურკამადის მემკვიდრეები, პოლონეთის ანტისემიტები გამოჩნდნენ, რა გასაკვირი იქნება, თუ ამ ამბავის შემდეგ ბატონი ბრანდესი მათ ჩამოშორდა და გაზეთ „პოლიტიკენში“ ევროპის წინაშე ბოდიში მოიხადა შემდეგი სიტყვებით: არ ვიცოდი ამ ხალხის ჩუმი ფსიხოლოგია, არ გაამართლა მათმა ქცევამ ჩემი ბევრი ქებაო...

აი, ასე მოსწამლეს და ჩირქი მოსცხეს მთელ პოლონელების ერს დმოვსკიმ და მისმა მომხრეებმა; სათითაოდ ჩამოაშორეს რუსეთსა და ევროპაში პატივის მცემელი და ერთგული პირები.

შურის მაძიებელი.

სიმა მატავულის მოთხრობა შავმთიელების ცხოვრებიდან*).

(თარგმანი).

ზაფხულის მშვენიერი, მზიანი დილა იყო. აყვავებული, მაღლობზე თავისუფლად გადაშლილი სოფელი თეთრი პავლოვიჩი—თითქო პირს იბანდა მზის უხვი სხივებით. იქვე წყნარად მოჩანჩქარობდა მდინარე ცეტა. მდინარის მწვანედ აბიბინებულ ნაპირზე, ჭალაში, ცხვრის ფარა გაშლილიყო და მადიანად სძოვდა ცვრიან ბალახს. მათი მწყემსი, სახელად მინა, არ ჩქარობდა მათ მოგროვებას: იგი ტირიფის ჩრდილში წამოწვა, აიღო სალამური და გატაცებით დაუკრა.

მინა! — გადმოსძახა მახლობლათ მდებარე მინდვრიდან მეორე ახალგაზდამ:—მოაგროვე ცხვრები და აქეთ გამოლალე.

მინამ ერთი კი მიიხედა მისკენ, მაგრამ არც კი წამოდგა და აღტაცებით განაგრძობდა სხვა და სხვანაირი ჰანგების დაკვრას, რომლებსაც თვითონ თხზავდა, რაღაც ოცნებით გატაცებული.

— მი—ნა!—უფრო ხმა მაღლა გაიმეორა მწყემსმა:—გეუბნები თავი დაანებე მაგ შენ სალამურს და აქ მოდი!

მინა ზანტად წამოდგა, ზარმაცად მოაგროვა ცხვრები და გარეკა იმ მინდვრისკენ, სადაც მისი ბიძაშვილი იაგოშა თავის ფარას აძოვებდა.

— აი, შენ! დილა ადრიანათ, რომ აამღერე ეგ შენი სალამური!—სიცილით მიეგება მას იაგოში—თვითონ კი ვითომ ლაპარაკიც არ გესიამოვნება იმ გოგოზე და შენი სალამური კი მთელ სოფელს გასძახის: „ლაბუდა, ჩემო მშვენიერო, ჩემო ბედნიერებავ!“.. აი, ეგეც შენი საიდუმლო!

— რას სულელობ!—გაჯავრებით, მაგრამ უნებურის ღიმილით უპასუხა მინამ და გვერდზე მოუწვა თავის მეგობარს, რომელიც ალვის ხის ქვეშ იყო წამოწოლილი.

— არა, მე არ ვსულელობ! თავის ბედნიერების დამალვა სისულელეა, რადგანაც, სულ ერთია, შემოდგომაზე ქორწილში მიმიწვევ. მართლაც, რომ შენ დიდი ბედნიერება გხვდა ძმაო მინა! არა ერთი და ორი ათეული გამოჩენილი ახალგაზდა მარტო მისი ალერსიანად შემოხედვისათვისაც კი სულს არ დაზოგავს, და მან კი შენ შეგიყვარა...

— კმარა, იაგოშ! შენ რატომ მუდამ ლაბუდაზე ლაპარაკობ? ხომ არ გშურს, როგორც სხვებს, არამედ სასიამოვნოდ გაქვს ჩემი ბედნიერება; მართალია ისიც...

— კიდევაც იმიტომ ვლაპარაკობ, რომ სასიამოვნოთ მაქვს: არა თუ მისი შერთვა, არამედ მასთან მარტო დანათესავებაც კი ბედნიერად მიმაჩნია!

ლაბუდა მთელი სოფლის გასათხოვარ ქალებთა შორის ყველაზე ულამაზესი და უმშვენიერესი იყო და ამასთანავე კარგათ შეძლებული დედ-მამის ერთად-ერთი შვილი და მემკვიდრე. მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ ის მხოლოდ 17 წლისა იყო, მას უკვე ბევრი საქმრო აღმოუჩნდა, მაგრამ მან ყველას უარი უთხრა, და მინა კი ძლიერ შეუყვარდა; მინასაც იგი გაგიჟებით უყვარდა. მიუხედავათ იმისა, რომ მინა ვერც ჩამომავლობით და ვერც შეძლებით ვერ იყო მათ სასიძოდ შესაფერისი, ლაბუდას მშობლები თავის ასულის ბედნიერებისათვის მაინც დასთანხმდნენ მათ ქორწინებას; ეს კი უნდა ვთქვათ, რომ მინაც პატიოსანი ოჯახის და დედისერთა შვილი და მემკვიდრე იყო.

— მშვენივრად ბრჭყვიალებს შენი ახალი თოფი, მინა!—მიმართა მინას ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ამხანაგმა, რომელიც სიხარბით შესცქეროდა თოფს, რადგანაც დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მთავრობამ ახალგაზდა შავმთიელებს თოფები დაურიგა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მათ ეს თოფები არ გაესროლათ, ვიდრე მთავრობა არ დაიბარებდა და არ შეასწავლიდა მათ იარაღის მოვლას და ხმარებას.

— მოდი, ძმაო, ნება მომეცი, ერთი გავისროლო ეგ შენი თოფი!

— რას მეუბნები, იაგოშ! შენ ხომ იცი, რომ მე ფიცი მიმიცია, ერთხელაც არ დავცალო ეს თოფი, თუ გარემოებამ არ მაიძულა, და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოსმალოსთან მოვიხდება შეტაკება.

— ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ, როდესაც მე გავისვრი და არა შენ, ეს არ მოასწავებს შენ მიერ ფიცის გატეხას. ძალიან კი მინდა, გავიგო, როგორი მიზანი აქვს ამ შენ თოფს. მართალი მითხარ, შენ თვითონაც ხომ გინდა?

— რა ვქნა, კიდევაც რომ მინდოდეს? ეს ბავშობაა, იაგოშ. მე დავიფიცე წმ. ვასილის სახელი და ფიცს ვერ გავტეხ.

მინა და იაგოში თუმცა ბიძაშვილები იყვნენ, მაგრამ როგორც გარეგნობით, ისე ხასიათით ერთმანეთს არა ჰგვანდნენ.

მინა იყო მაღალი და ტანხმელი, ქერა, დიდრონთვალებიანი, მბრძანებელი და სიურჩის გამომეტყველი ბაგეებით, მას მარტო ერთი ალერსიანი ღიმილებითაც კი შეეძლო თავბრუ დაესხა ყოველი ქალისათვის, არა თუ მარტო სოფლელის, არამედ ქალაქელისათვისაც; მაგრამ, როდესაც მისი სახე მოხუშული იყო, მინა შიშს ჰკვრიდა ნათესავებსაც და მეგობრებსაც კი. ის ძალიან ფიცხი იყო, მაგრამ მის სახეზე ვერასოდეს ვერ წაიკითხავდა კაცი, თუ რა ქონდა მას გულში, ვიდრე თვითონ არ მოისურვებდა ამის გამოაშკარავებას.

იაგოში იყო უფრო ტანმორჩილი და შავგვრემანი; თვალები შვიდობიანი გამომეტყველებისა ქონდა; მის სახეზე სავსებით იხატებოდა მისი მშვიდობიანი და ალერსიანი სულის განწყობილება.

ყოველი ქალი მინას უფრო შეიყვარებდა,-მას მისცემდა უპირატესობას; ვაჟკაცები კი მათ შორის იაგოშს აირჩევდა ამხანაგად. მაგრამ გული კი ორივეს მართალი და უშიშარი ჰქონდათ და უყვარდათ ერთმანეთი ნამდვილად და ღრმად.

— კაცო, ვგონებ, ვიღაც ცხენს მოაჭენებს მდინარის ნაპირ,—სთქვა მინამ და იდაყვებზე წამოიწია,-გესმის?

— ჰო, ვიღაც მოდის... ხედავ... ოსმალოა!

მოხვეულიდან მართლაც გამოჩნდა ვიღაც ცხენოსანი, რომელსაც თავზე დოლბანდი ეხვია და ტანზე წითელი მაზარა ეცვა ეს ცხენოსანი აქეთ-იქით იყურებოდა, თით-

---

*) შავმთიელეთი (იგივე მთაშავეთი) წარმოადგენს პატარა სამეფოს, რომელიც მდებარეობს ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე; იგი მწირი, ღარიბი მიუვალი მხარეა და შეიცავს მხოლოდ 250 ათას სულს მცხოვრებს ორივე სქესისას. შავმთიელები ჩამომავლობით სლავიანები არიან და სარწმუნოებით კი მართლმადიდებელნი ქრისტიანები და კიდევაც ამიტომ რუსების ახლო ნათესავებათ ირიცხებიან, და კარგი მეგობრული განწყობილება და კავშირიც არსებობს რუსებსა და მათ შორის. შავმთიელები, როგორც მთის ხალხი, განთქმული არიან თავიანთ სიმამაცით. მათ მეტად უყვართ თავიანთი ღარიბი სამშობლო და თავისუფლება, რომელიც სავსედ აქვსთ დაცული, მიუხედავათ იმისა, რომ მათ თითქმის ყოველ მხრივ შემორტყმული ქონდათ ძლიერი ოსმალეთი, რომელმაც მთელი ბალკანეთის ყველა სამეფოები და სამთავროები, გარდა პატარა შავმთიელეთისა, ძალით დაიპყრო და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბატონობდა მათზე.

ტ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმეორებთ, ერმა, რომელმაც გაუძლო ორი ათასი წლის განმავლობაში მრავალ ტანჯვას და თვისი ტრადიციონური გადმოცემა შეინარჩუნა, იგი არ დაუკრავს თავს დმოსვკის და მის მომხრეებს.

მოიგონონ პოლონელებმა ბერკ იოსილოვიჩი და მისი რაზმი რვაასი ებრაელისაგან შემდგარი, რომელთაც მსხვერპლათ შესწირეს თავი პოლონეთს ნაპოლეონის შემოსევის დროს; დარწმუნდნენ, რომ ერთგული ყოფილან ებრაელები ყველა ერის და ერთგულებიც იქნებიან, რადგანაც ეს არის მათი მტკიცე იდეალი...

რაბინი დავით ბააზოვი.

ჩვენ შორის.

I

ვინც ქართულ პრესას თვალ ყურს ადევნებს, ის ადვილად ხედავს, რომ ჩვენ,—ქართველები,—ერთსა და იმავე ადგილას ვაბაკუნებთ ფეხებს და იოტის ოდენათაც არ გაგვიუმჯობესებია არც ჩვენი გულის თქმა და არც საზოგადოებრივი საქმიანობა.

„თანამედროვე აზრი“ და მისი ზედ-ნადები „ახალი კვალი“ კვლავ თავისებურათ მოსთქვამენ „ბურჟუა“ — „პროლეტარებზე“ და ხშირათ ისეთ განყენებულ წერილებსა ჰბეჭდავენ, გეკონებათ ეს გაზეთები საქართველოში კი არა, ხმელთა შუაზღვის რომელიმე კუნძულზე გამოდისო.

არსებითი საკითხები **საქართველოს** შესახებ მათ ნაკლებათ ეყურადღებებათ და თუ დაბეჭდვენ ხოლმე რაიმეს აჭარლების, ან სიმშილობის შესახებ ჩვენში, უეჭველად ისეთ კილოს აძლევენ, თითქო მხოლოდ „აზრელები“ და მათი მიმყოლნი იყვნენ ქვეყნის მხსნელი და პატრონნი..

როგორც ყოველთვის—დღიდან „აზრელების“ გამოსვლისა საზოგადოებრივ ასპარეზზე, ისე დღესაც ასეთი წერილები მკითხველთა შორის საშინელ ანტოგონიზმსა და განხეთქილებას სთესენ და ნაცვლათ სოლიდარობა—შეერთებისა მკითხველთა შორის შენდება დაურღვეველი კედელი, ჩნდება გაუვალი ხრამები და ერთისა და **იმავე მდგომარეობის მკითხველი** ისე შორდებიან ერთმანეთს გეგონებათ ერთი ეფრიკელია და მეორე კი ჩინელიო.

ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკეთ, ერთსა და იმავე ისტორიისა, პოლიტიკურ ეკონომიურ მდგომარეობისა და ზნე-ჩვეულებას ხალხს ერთმანეთის აღარა ესმით—რა და ალთა ბალთისაკენ გარბი-გამორბიან.

თუ თქვენ დაგივლიათ ჩვენი დაბა-სოფლები, უეჭველათ შეხვდებით ასეთ სურათებს:

ვსთქვათ, თქვენ თანამშრომელი ხართ რომელიმე „ნაციონალისტური“ გაზეთისა, ამ გვარ გაზეთების მკითხველები მოგეხვევიან და სცდილობენ შეძლებისა დაგვარად გამოგიცხადონ თავისი თანაგრძნობა, სამაგიეროთ იმავ წამში გაჩნდება საიდგანღაც მეორე ჯგუფი, ჯგუფი „ინტერნაციონალურ“ გაზეთების მკითხველებისა, ჩამოდგება განზე და ისე გიღვერის, გეგონებათ შვილი მოგეკლას მათთვის.

ზრდილობაც, თავაზიანობაც, სტუმართ—მოყვარეობაც, უცხო კაცის პატივისცემაც, ცნობის მოყვარეობაც ყველაფერი დავიწყებას ეძლევა.

იმართება ჩურჩული, ყრუ ბუზღუნი, დემონსტრატიული ქცევანი და შემდეგ ცხადი უკმაყოფილებაც.

— რათა, რისთვის ხდება ასეთი ამბები? ეკითხებით თქვენ თავს —უცხო, პირველად მოსული კაცი რომ ბრძანდებით და გული გიკვდებათ, რომ ასეთ განხეთქილებას ხედავთ...

— რა გვაქვს გასაყოფი, რა!—კვლავ ეკითხებით თქვენ თავს და თქვენი განცვიფრება და ბოლმა ერთი ორად მატულობს, როცა ითვალისწინებთ, რომ, შენც, მეც, ივანეც, პეტრეც, ყველანი მთელი ქართველობა . . . . , უვიცნი, მშიერნი ვართ და იმის მაგივრათ, რომ ყველამ ერთმანეთს მივცეთ ხელი, ყველამ შეერთებულის ძალით მოვიპოვოთ ბედნიერი, ადამიანური, კაცად-კაცური ცხოვრება, ერთმანეთსა ვჭამთ და ერთი მეორეს სამარეს ვუთხრით.

მიზეზი? მიზეზი—ის ცხრამთისებური ქადაგება—მოძღვრებაა, რომელმაც ფეხი მოიკიდა ჩვენ ცხოვრებაში და ასცდა რა ადგილობრივ, ქართველურ ნიადაგს, ისე მომართა ტვინი და გული თავის მიმდევრებისა, რომ ავსა და კარგს ველარ ამჩნევენ.

უფლებათა ხელში ჩაგდება და წინამძღვრობა ხალხისა კანონიერი სურვილია, მაგრამ როცა ეს სურვილი ძალმომრეობასა და სიყალბეზე არის დამყარებული, იგი უბედურების მეტს არავის არაფერს უქადის.

მოძღვრება ძმობა-ერთობის დამამყარებელი, მოძღვრება ცოდნის და სწავლის მქადაგებელი, მოძღვრება სამართლიანობის მასწავლებელი, მოძღვრება თვისისა, ტომისა, ერისა და კაცობრიობის განმამტკიცებელი, ჩვენ ჩვენის უვიცობით კინკლაობაზე დავახურდავეთ და **შინ ჩემობაზე**, გავყინეთ.

ასე ხდება ყოველთვის როცა ერი, ხალხი აცდება ხოლმე თავის ბუნებრივ განვითარების გზას და სხვის გულითა და გონებით სცხოვრობს!...

მოგეხსენებათ, რომ ერთი უკიდურესობა იწვევს ხოლმე მეორე უკიდურესობას, და „ინტერნაციონალურმა“ უკიდურესობამ ჩვენში წარმოშობა ყალბი პატრიოტიზმი...

ყოველივე სიყალბე „ინტერნაციონალური“ იქნება იგი თუ „ნაციონალური“, სიკვდილია თავისუფალი აზრისა, სამარეა ადამიანურის მოქმედებისა, მომაკვდინებელია ეროვნული თვით—არსებობისა!...

ამიტომ ჩვენ ჩვენის სუსტი ძალღონით ვებრძოდით და ყოველთვისაც შევებრძოლებით სიყალბეს „მარჯვნიდან“ იქნება ეს სიყალბე თუ „მარცხნიდან“...

ჩვენ არ გვწამს ეროვნების უარის მყოფელი, ამა თუ იმ ერის გამანადგურებელი ჩვენებური „ინტერნაციონალიზმი“, ჩვენ გვეზიზღება ამ ნიადაგზე აშენებული კაცი—ჭამიაობა, ვინაიდან ჩვენ მოსისხლე მტერი ვართ ყოვლივე კაცი—ჭამიაობისა და ძალმომრეობისა.

ჩვენ არა გვწამს აგრეთვე მიმხდომი ნაციონალიზმიც, გვეზიზღება მჟავე—პატრიოტობაც, რომელსაც მიმართავენ ხოლმე ყოვლად უქნარა, გაჩინოვნიკებულ — გაბიუროკრატებულნი.

ჩვენ გვეზიზღება, როდესაც ერთნი თუ მეორენიც ეფარებიან კეთილშობილურ მოძღვრებებს, მარტო იმიტომ, რომ შეინარჩუნოს პატივი, დიდება, ძალა და უფლება სხვების დასაბრიყვებლად, სხვების მოსაღორებლად...

—შენც იცოცხლე და მეც მაცოცხლე!

აი ჩვენი დევიზი!

მაშასადამე, ყველა ის მოვლენა, რომელიც ამ დევიზს სჩაგრავს და ამ დევიზის გარეშე სდგას, ერთგვარის ენერგიით იქნება ჩვენგან დაგმობილი, სულ ერთია ჩვენებური „ინტერნაციონალისტისაგან“ იქნება იგი მოვლენა ნაკარნახევ-მოწონებული, თუ ჩვენებურ „ურა პატრიოტისაგან“. რა მოვლენანი, რა ჩვეულებანი არიან ასეთნი და რა არ მოგვწონს ერთისა, ან მეორეს მოქმედებაში? ამაზე შემდეგ.

ი. ე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ ამ დღეებში ქუთაისის გუბერნატორი მიემგზავრება სამეგრელოში დამშეულ გლეხების მდგომარეობის გამოსარკვევათ.

✦ 27 ივნისს სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის დარბაზში მოხდება ზედამხედველი კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებული კრება შემფასებელ კომისიის ოთხი წევრის ასარჩევათ. ვადა გაუდისთ ტ. ე. ართმელაძეს, თავ. პ. ლ. გელოვანს, თავ. ვ. ნ. დადიანს და დ. ბ. ჩხეიძეს.

ბანკის გამგეობამ დაადგინა, რადგანაც ამ ბოლო დროს ცხოვრება მეტად გაძვირდა, ბანკის მოსამსახურეებს დახმარებათ მიეცეს ერთი თვის ჯამაგირი.

✦ დ. ხონის ინტელიგენციამ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ხონის ქალთა მარინეს სკოლა გადაკეთებული იქნეს ქალთა გიმნაზიათ. ხონის საზოგადოება ამ სასწავლებლისათვის მთავრობას პირდება საჭირო მიწას და სახლს.

✦ თანახმათ კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეოთხე ყრილობის დადგენილებისა, შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მთელ კავკასიაში შემოღებული იქნეს ერობა.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ყასაბ გიორგი ლეჟავას, ჩუმათ საქონლის დაკვლისათვის.

✦ 28 ივნისს, დ. ჭიათურაში, დღის თერთმეტ საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში მოხდება დრამატიული საზოგადოების მორიგი კრება.

✦ ქალაქის საავადმყოფოს მაისის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 4965 მან. 55 კ. გასავალი 4,957 მან. და 57 კაპ.

✦ გუშინ, ცუდი ამინდის გამო ქუთაისში ძლიერ ცოტა პარკი შემოვიდა.

✦ როგორც სოფ. საქარიდან (შორაპნის მაზრა) გვწერენ, მუდმივი წვიმების გამო სიმინდის ყანები გაუმარგლავი დარჩენილა. თუ წვიმები კიდევ გაგრძელდა, ყანები სულ გაფუჭდება.

✦ 27 ივნისს, ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილება გაარჩევს, დანიელ იაკობიშვილის, კონსტანტინე რუბაშის, მამედ ჰაგირ-მაშადი-გასან-ოღლის და ბეგლარ გაბუნიას საქმეს.

✦ ჩვენი გაზეთის კვირის ნუმერში მოთავსებული იყო ცნობა, ვითომც, სოფ. კურსებში ევტეხი ბერეკაშვილი ფუთ სიმინდს ყიდის 1 მ.—18 კ. როგორც გამოირკვა ბ. ბერეკაშვილი სიმინდს ჰყიდის 1 მ. 10 კ.

✦ დ. ახალსენაკში შესდგა ქართ. დრამატიული წრე, რომელსაც განზრახვა აქვს სენაკის მაზრისათვის იყოლიოს დასი. წესდება უკვე შეადგინეს და დასამტკიცებლად ბ. გუბერნატორს წარუდგინეს.

წელს ნოვოჩერკასში დონის პოლიტეხნიკუმის საინჟინერო-სამელიორაციო ფაკულტეტი ჩინებულათ დაასრულა ჩვენმა თანამემამულემ ანტონ ქაიხოსროს ძე ჯაფარიძემ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ფაკულტეტზე სწავლა დასრულებული ინჟინერი მთელ რუსეთში მხოლოდ 12 კაცია. ბ-ნი ჯაფარიძე კი პირველი ქართველია, რომელმაც ეს ფაკულტეტი დაასრულა.

✦ ქუთ. დრამატიულმა საზოგადოებამ დაადგინა თავის სახსრის გასაძლიერებლათ 5 ივლისს ქალაქის ბაღში სეირნობა გამართოს. სეირნობის პროგრამა საინტერესოდ იქნება შედგენილი.

✦ ეს ერთი კვირაა, ქუთაისში დიდი წვიმები მოდის. ქუჩები ნიაღვრებით ივსება. ხშირად წყალი სავაჭროებშიაც შედის. წვიმის დროს ღამ-ღამობით თითქმის არც ერთი ქუჩა განათებული არ არის. მცხოვრებლები მეტად შეწუხებულნი არიან.

✦ სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით, დ. ხონის ექვს კლასიანი პროგიმნაზია გადაკეთდა 8 კლასიან გიმნაზიათ.

✦ ქუთაისის ქალთა წრე რეალური სასწავლებლის სადგომში შეუდგა მხრჩოლავი გაზის საწინაალმდეგო თავსაფრების კერვას.

ქალთა წრე მოუწოდებს ყველა მსურველ ქალებს კერვაში დახმარება აღმოუჩინოს.

✦ თბილისიდან ჩამოვიდა სასოფლო მეურნეობის ინსტრუქტორი ბ. ტიმოფეევი, რომელსაც განზრახვა აქვს სოფ. კულაშში დაათვალიეროს საცდელი მინდორი. ბ. ტიმოფეევი კულაშიდან ოზურგეთის მაზრაში გაემგზავრება.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ ა. კორძაიამ დილით ადრე სანოვაგის ყიდვისათვის ოქმი შეუდგინა თადეოზ ხვედელიძეს.

მოწერილი ამბავი.

(ბაღდათის მხარე). **სოფ. დიმი** მცხოვრებმა ალექსანდრე დიმიტრისძე გურგენიძემ გამოიგონა ჰურიდან ღვინის ამოსაღები მანქანა. თუ ამდენ ხანს ღვინის ამოღებაზე ჰურს ყოველთვის თავის მოხდა სჭირდებოდა, ამ მანქანის საშუალებით თავმოუხდელ ჰურიდან წმინდათ ამოიღება ღვინო. ამასთანავე გამოიგონა ჰურში ღვინის თხლიდან აურევლად წმინდა ღვინის ამოსაწურავი მანქანა.

გამუდმებული წვიმების გამო დიდათ დაზარალდა ვენახები. ყურძნის მტევანზე მარცვლებმა ვერ დაასრულა ყვავილიდან თავისუფლად გამოსვლა. სწორ ადგილზე ვენახები დანოყა. გვიან დათესილი ყანები, სადაც სიმინდმა ამოსვლა ვერ მოასწრო, დანოყა. მეორეთ დათესვის დრო კი გასულია. შაბიამნის უქონლობის გამო უაქიმო ვენახებს ჭრაქი დაკრა და დასწვა. საზოგადოთ ღვინისა და სიმინდის მოსავალს ცუდი პირი უჩანს.

აბასთუმნის გზატკეცილზე მდ. ყვირილაზე გაფუჭებული ხიდის მაგიერ ბორანი არის გამბული, რომელსაც აქამდი ინჟ. სკუპევსკი განაგებდა. რადგან ამ ბორანზე მრავალ უწესოებასა და უსამართლობას იტანდენ მგზავრები, გუბერნატორმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება; თვითონ დაათვალიერა ადგილობრივ ხიდი და ბორანი, დაუყონებლივ მოახდინა განკარგულება და ინჟ. სკუპევსკის მაგიერ ინჟ. ქორქაშვილი დაინიშნა ბორანის წესიერად მოწყობის გამგედ, რასაც მართლაც სასურველი შედეგი მოყვა.

დ. ზესტაფონი. 9 ივნისს, ზესტაფონის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებისაგან გამართულ აკაკის საღამოდან შემოვიდა სულ 295 მ. და 10 შ. გასავალი იყო 136 მ. და 18 შ. თფილისის საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოებას გაეგზავნა 25 მ. განყოფილებას დარჩა სულ 131 მ. 1 აბ.

მდ. ყვირილის რკინის მეორე ხიდი, რომელიც დაიწყო ზოგიერთთა მცხოვრებმა, რიცხვით 30 კომლმა და უსახსრობის გამო ველარ დაასრულა,—ბურჯები და ფერმები გაკეთდა მხოლოდ,—გადაეცა მთავრობას საკუთრივ ისე კი, რომ რაც საჭიროა გასაკეთებელი, დაამთავროს და შემდეგში შეაკეთოს ხოლმე საჭიროების დაგვარად. მთავრობამ ამ ხიდისთვის გადასდვა 3,500 მ. მასალები მოზიდა და ამ დღეებში შეუდგება მუშაობას.

აღძრულია შუამდგომლობა გაიხსნას ზესტაფონს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. კოოპერატივის გახსნის შესახებ წარდგენილ წესდების დამტკიცებას მოელიან.

ქო გაშლილ მინდორზე რაღაცას დაეძებსო.

— აი შემთხვევა გეძლევა, მინა,- ხუმრობით უთხრა იაგოშმა,-შესწორე მაგას პირველი ტყვია.

— რა გგონია?-უპასუხა მინამ და ქუდი ზედ თვალებამდი ჩამოიფხატა:—ჩვენი მეფის ბრძანების გატეხა რომ არ მაწუხებდეს, ძალიან კარგათაც ვესინჯავდი მაგაზე ჩემ ახალ თოფს...

ამ დროს ოსმალო ცხენიდან ჩამოხტა, ცხენი ბალახზე მიუშვა, თვითონ აღმოსავლეთისკენ მობრუნდა და ლოცვას შეუდგა.

— ჰა, აი რას ეძებდა! შუადღის ლოცვის დრომ მოუწია. დრო არის, ძმაო, ჩვენც ვისადილოთ.

ძმები დასხდნენ ჩრდილოში გორაკის ფერდოზე და პურის ჭამას შეუდგნენ.

მთელი საათი გავიდა, და ოსმალოს ცხენის ფეხების ხმა აღარ ისმოდა, ძმებს ეჭვი შეუვიდათ, ოსმალოს ლოცვას დროს ხომ არ დაეძინაო და გადასწყვიტეს მასთან მისვლა.

ოსმალო იყო მშვენიერი შესახედავი, ლამაზი და წარმოსადგენი ვაჟკაცი, გამოწყობილი, როგორც სერბიელი მეომარი, ხავერდსა და აბრეშუმში. მას უნაგირზე ძვირფასი ასალო ჰქონია გადაფარებული ღვედები ოქროს მკედით იყო მოქარგული, - ეტყობოდა, რომ ეს ოსმალო უბრალო ჩამომავლობისა არ იყო.

ძმები მივიდნენ ოსმალოსთან, მიესალმენ მას და გვერდით მოუსხდნენ. ოსმალომ მოკლე ხმლის ტარზე ჩამოკიდებული თამბაქოს ქისა მოიხსნა და მოსულებს თამბაქო უთავაზა. თოფი მან მუხლებზე დაიდო და ჩიბუხი მხარზე მიიყუდა.

დაიწყეს ბაასი. მინამ ჰკითხა, თუ ის რატომ მიდის მარტო. ოსმალომ უპასუხა, რომ მისი მეჯინიბე გზაში შეუძლოთ გახდა, და იგი იძულებული შეიქნა, ავადმყოფი შპუზეში დაეტოვებია, რის გამოც მას აქ დააგვიანდა; ახლა კი საჩქაროთ უნდა მას წასვლა, მაგრამ ცხენი მშიერია, და ძალაუნებურად უნდა შეჩერდეს, ვიდრე ცხენი წასძღვს.

იაგოშმა ვერ მოითმინა და აღტაცებით შეასხა ქება ცხენსაც და მის პატრონსაც, რომელნიც, მართლა, ერთმანეთს შეფეროდენ და ქების ღირსნიც იყვნენ.

გაიგონა რა ეს, მინამ მოიხუშა, უკმაყოფილოდ გადახედა ძმას და დაჩქარებით კითხა ოსმალოს მიზანი მისი მოგზაურობისა.

როდესაც გაიგეს, რომ ის მიდის შავმთიელ სუნიო რადუზევიჩთან, რომელსაც აგერ ხუთი წელიწადია მას აქეთ რაც დაძმობილებია, ორივე ძმა განცვიფრდა. ოსმალო არწმუნებდა მათ, რომ აქ გასაკვირალი არა არის რა, რადგანაც ოსმალო-შავმთიელთა შორის მეგობრობა სრულებითაც არ შეადგენს იშვიათ მოვლენას, და მათ მხოლოდ თავისი სიყმაწვილისა და გამოუცდელობის გამო უკვირთ ეს. ძმებმა გამოკითხეს ოსმალოს მისი ვინაობა, და, როდესაც იაგოშმა გაიგონა, რომ ბეკერბეგი არის გამოჩენილი გვარის კაცის კუჩეის შვილი, ხელახლა ველარ მოითმინა და აღტაცებით წარმოსთქვა თავისი განცვიფრება. ახლა კი მინამაც ხმამაღლა წარმოსთქვა თავისი უსიამოვნება.

— რა ხოტბას ასხამ მაგას, თითქო ფულის თხოვნას უპირობდე!...

იაგოშს გული მოუვიდა, ძლიერ აღელდა, და მზათ იყო მკვახეთ ეპასუხნა ამ შენიშვნაზე, მაგრამ ოსმალომ დაჩქარებით, მშვიდობიანათ და ტკბილათ მიმართა მათ:

— კარგი, კმარა, ყმაწვილებო, — ლაპარაკათაც არ ღირს. მე ვხედავ, რომ თქვენ ორივე მამაცნი შავმთიელები ხართ; მინამ იხუმრა, მას არავისთვის არ უნდოდა შეურაცხყოფის მიყენება.

იაგოშმა ჩამოაგდო ლაპარაკი ახალ იარაღზე; ილაპარაკეს მშვიდობიანათ ახალ გამოგონებებზე, მაგრამ, როგორც კი შეეხენ შავმთიელის მიერ მიცემულ ახალ ფიცს, მინა მზათ იყო, ხელახლა რაიმე არა სასიამოვნო წარმოეთქვა. იაგოშ ხედავდა, რომ ოსმალოს მარტო სიახლოვეც კი უღვრევდა სისხლს მინას, და ამიტომ ყოველ საშუალებას ხმარობდა, შეეჩერებინა და დაემშვიდებინა იგი.

ტ. მ.

(დასასრული ხვალ.)

აკაკის საღამო დ. ონში.

ჩვენი დიდებული მგოსნის აკაკის დაბადების დღე აქაც ვიდღესასწაულეთ. ონის სცენის მოხალისეებმა გამართეს ამ დღეს ლიტერატურული საღამო ხალხი საღამოს ბლომათ დაესწრო. საღამო დაიწყო მამა მათე გორდეზიანის სიტყვით, რომელმაც აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა ქონდა გამართულ საღამოს და ნიშნათ პატივისცემისა საყვარელი აკაკის ხსოვნას საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა. შემდეგ პავლე იაშვილმა წაიკითხა ლექცია აკაკის პოეზიის შესახებ. ლექცია იყო წაკითხული მდაბიო, გასაგებ ენით. ლექციამ საზოგადოება დიდ აღტაცებაში მოიყვანა და ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა ლექტორი. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს აკაკის „პატარა კახის“ მეორე მოქმედება, სადაც მონაწილეობას ღებულობდა სერგო გოცირიძე (კახი), აბესალ. იაშვილი (ჯავი) და სხვები. წარმოდგენამ სამაგალითოდ ჩაიარა და საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დასასრულ მოსწავლეებმა წაიკითხეს აკაკის რჩეული ლექსები. თითოეული მათგანი ხანგრძლივი ტაშის ცემით იყო დაჯილდოებული მოხდენილ და ლამაზ დეკლამაციისთვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელიც მოსდევს ხოლმე ონში გამართულ წარმოდგენებს თუ წაკითხულ ლექსებს. პირველი ის, რომ საზოგადოება ერთობ თავდაუცველათ იჭერს თავს და ხშირათ თვით წარმოდგენის დროს არის ხოლმე გამართული გაძახილ-გამოძახილი, ხმამაღლა ლაპარაკი და სიცილი. მეორე რაც უნდა ეცადო და ადრე შეიძინო ბილეთი, შენს ადგილზე ვერ დაჯდები, რადგან აქ მოსწრებაზეა ადგილის დაკავება. ხშირათ მოყავთ ხოლმე პატარა ბავშები და როდესაც ხარ სულ-განაბული და ადევნებ თვალს წარმოდგენას, სწორეთ მაშინ უნდა დაიწრიპინოს ბავშმა და მორთოს ტირილი, აქ მსმენელსაც ეკარგება შთაბეჭდილება და მსახიობიც იბნევა თავის როლში.

დასასრულ, არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ აქაურ საზოგადოებას ის, რომ ონში არ არის გამართული მუდმივი სცენა წარმოდგენისათვის, როგორიც ამ სამი წლის წინათ იყო აქ. ახლა წარმოდგენები იმართება გადახურულ თავლებში და არასფერს სიამოვნებას ხალხი იქ ვერ პოულობს. მშვენიერი სცენა იყო გამართული ონის კლუბის დარბაზში, დეკორაციებიც კარგი ქონდა, მაგრამ ონის კლუბის მამასახლისებმა რაღაც მიზეზით მოშალეს, დეკორაციები დახიეს, პარტები და სხვა ქონება სცენისა მიაბ-მოაბნიეს.

გუგული.

სიტყვა.

თქმული ქუთაისის მთავარ-ანგელოზის საკრებულო ტაძარში 21 ივნისს ისტორიკოსის დიმიტრი ზ. ბაქრაძის პანაშვიდის წინ მღ. ს. ლეკვეიშვილისაგან.

ს. ძ.! ყველამ უწყით, რომ დღეს დედამიწის ზურგზე არსებობს აურებელი სხვადასხვა ერი ზოგმა მათგანმა თავის ისტორიულ მსვლელობაში მიაღწია უმაღლეს ეროვნულ განვითარებას და შექმნა პოლიტიკურათ, ეკონომიურათ და გონებრივათ მძლავრი ორგანიზაცია, რომლის ჩრდილშიც თავს იფარავს არა ერთი და ორი პატარა ეროვნება, რომლისათვისაც ისტორიულ ბედის ტრიალს ურგუნებია მწარე ხვედრი სხვისი მაჩანჩალობისა. ევროპის 19—20 საუკუნის ისტორია არის მძლავრი ეროვნული განვითარების ისტორია; საფრანგეთის დიდი რევოლიუცია საფუძვლად დაედვა ეროვნული იდეის აღორძინებას და სრულს ჩამოყალიბებას. დღევანდელი საერთაშორისო ომი, გარდა სხვა ღრმა მიზეზებისა, წარმოშობილია აგრეთვე ეროვნული ანტაგონიზმის ნიადაგზე. აქ მკაფიოდ მოსჩანს, თუ—როგორ ეჯიბრება ერთი ერი მეორეს ტეხნიკურ და ორგანიზაციულ განვითარებაში და ლამობს დაიმკვიდროს კაცობრიობის ისტორიაში რჩეული, მოწინავე და პირველი ერის სახელი. თანამედროვე მეცნიერება თავის ქურაში აწრთობს და ადნობს ყველას და წინ უყენებს საბედისწერო დილემას: მიცნობ და მიმიღებ,—აგამაღლებ და გაცოცხლებ, არა და მოგსპობ გაგანადგურებო. ეს გარემოება თავის-თავად მოითხოვს ყოველი არსებული პატარა ერისაგან შეგნებას და შესაფერი ანგარიშების გაწევას, თორემ ბიოლოგიური კანონი, რომ სუსტი მსხვერპლი ხდება ძლიერისა და მისგან ისპობა და ინთქება, ჯერ კიდევ ძალაშია. ზნეობრივ განვითარებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ჩვენს შორის იმ სიმაღლემდი, რომ დაითრგუნოს და ადგილი აღარ ექნეს აღნიშნულ ბიოლოგიურ დებულებას. ეს დრო შორეული მომავლის საქმეა და მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობის სრულს გარდაქმნას. ამ თვალსაზრისით ქართველობა უნდა აფასებდეს თავის ახლო წარსულის ნამოქმედარს. აქ მეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ იშვიათად რომელიმე პატარა ერს ქონდეს ისეთი მდიდარი და სხივოსანი წარსული, როგორც ქართველებსა გვაქვს; რომ ცარიელ სიტყვებათ არ მოგვეჩვენოს ნათქვამი, ერთ წამს მოვიგონოთ ჩვენი მდიდარი ძველი მწერლობა, შეუდარებელი და განსაცვიფრებელი ხუროთმოძღვრება, ქანდაკება, მხატვრობა, გალობა და ის ელასტიური ენა, რომლის სიმდიდრეს და საარაკო ფერადოვნება—სიმშვენიერესაც არა ერთი უცხოელი დაუტყვევებია და აღუტაცებია. მაგრამ უბედურება ის იყო და არის, რომ ჩვენს დიდ წარსულს მეცნობელი და შემგნებელი არ აღმოუჩნდა: მეთვრამეტე საუკუნის ქართველთა მემკვიდრეობა დროებით გაპარტახებული და მოუვლელი დარჩა; ახალმა პოლიტიკურმა ცვლილებამ მეცხრამეტე საუკუნის რუბიკონზე, ასე ვსთქვათ, ჩაყლაპა ეროვნული თავმოყვარეობა და არსებობა ქართველთა. ახალი ცხოვრებით და ფორმააზრებით თვალ-აჭრელებულნი ჩვენი ახლობელნი წინაპარნი,—მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის შვილნი,—არა თუ არაფერ ფასს სდებდენ თავისი ერის დიდებულ წარსულს, პირიქით სპობდენ, ყიდდენ, ანგრევდენ და ანიავებდენ ფასდაუდებელ საგანძურებს, თითქო ეშინოდათ მათი უტყვი არსებობისა, რომელიც სინდისის მხილებას უფრო წარმოადგენდა უბირსა და უღირს შვილთათვის. და აი ეს დრო გაგრძელდა 60-იან წლებამდის, როდესაც ჩვენ საისტორიო ასპარეზზე, მოანათა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებით შეიარაღებულმა, სახელოვანმა ისტორიკოსმა არქეოლოგმა დიმიტრი ზ. ბაქრაძემ, რომელმაც აალაპარაკა წარსულიდან გადმოცემული—ქვები, კლდეები, ნანგრევები, ტაძრები და სიგელ-გუჯრები. ამ დღიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი არსებობისა, ამ დღიდან მზე თანდათან ათბობს ჩვენს გაყინულ მშობლიურ ძვლებს, ამ დღიდან ქართველნი თვითცნობის და თვითგამორკვევის გზაზე შედგენ, ამ დღიდან, მტერნიც და მოყვარენიც გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს მიჯაჭვული ამირანის გამოფხიზლებას. გზა გაკაფულია და ქართველნიც თუმცა მძიმედ, შეუდგენ ამ მეცნიერული მემკვიდრეობის განაღდებას. დღეს ჩვენ სამშობლოში ორი ისტორიო-ეტნოგრაფიული საზოგადოება არსებობს: ერთი—თბილისში, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ჩვენი წარსულის გასხივოსნებას და შემონახვას, და მეორე—ქუთაისში, რომელიც თუმცა ახლად დაარსებულია, მაგრამ ენერგიულათ და თავისი მცირე ძალ-ღონის შესაფერისად მუშაობს. არა ერთი და ორი მცოდნე ისტორიისა იღწვის დღეს ჩვენი საერო ისტორიის ასპარეზზე და ამ მადლიანი მუშაობის ნამდვილი სათავე დიმიტრი ბაქრაძის ნამოღვაწევია; და აი წელს შესრულდა 25 წელიწადი მისი გარდაცვალების დღიდან და ადგილობრივმა ისტორიო-ეტნოგრაფიულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა აღნიშნოს ამ სახელოვანი შვილის გარდაცვალების 25 წლისთავი და პანაშვიდის შემდეგ თეატრში წაკითხულ იქნება ბ. ილია ივანეს ძე ფერაძის მიერ შესაფერისი რეფერატი, რაზედაც ყველას ეძლევა ნება უფასოდ დაესწროს, რათა დაწვრილებით გაეცნოს განსვენებული მოამაგის ღვაწლსა და პიროვნებას. წინასწარ-კი შევავედროთ უფალს გარდაცვალებულის სული და ვითხოვოთ მისგან—ნუ მოგვაკლებს თავის უხვს წყალობას და გაგვიმრავლოს ისეთი მოჭირნახულენი და მამულის მოყვარული მოამაგენი, როგორიც იყო ნეტარხსენებული ისტორიკოსი დიმიტრი ზ. ბაქრაძე.

საუკუნო იყოს ხსენება მისი მისგან დავალებულ ქართველთა შორის.

დაბა-სოფელი.

აცანის საზოგადოება (გურია) აცანის საზოგადოებას საზღვრავს აღმოსავლეთით აკეთის საზ-ება. დას. სოფელი მამათი და ძიმითი. სამხრ. ქვედა აკეთი, ჩრდილ. ლანჩხუთის საზოგადოება.

მდებარეობა მთა გორიანია. მოყავთ სიმინდი, ღომი და ქერი. მაგრამ რადგანაც მიწა მწირია, ნახევრათაც ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებლებს, რის გამოც იძულებული არიან ნიგოითში, სუფსასა და სხვაგან აიღონ სანადლო მიწები მოსავლის მოსაყვანათ.

მცხოვრებთა რიცხვი 2135 სულამდე, ხოლო კომლი 303.

თავადები აცანაში არ არიან. აზნაურები 7 მოსახლეა. შეძლებით გლეხებისაგან არ განირჩევიან.

ინტელიგენცია აცანაში ცოტაა და ისინიც ქალაქებშია დაბნეული, საარსებო ლუკმისათვის.

კულტურული დაწესებულებები არსებობენ: ერთი ორ კლასიანი და ერთიც 1 კლ. სავაჟო სასწავლებლები, ერთიც 1 კლ. საქალო პრაკერის განყოფილებით. არსებობს სამკითხველო, კოოპერატიული დუქანი, ხან და ხან იმართება წარმოდგენებიც.

გზები აცანაში ვერ არის კარგი. ერთი უმთავრესი გზა, რომელიც აცანას ლანჩხუთსა და რკინის გზასთან აერთებს—ვერ არის გაკეთებული. ხსენებული გზა გადის მთაში; თითონ აცანის მცხოვრებლები ძალიან მონდომებული არიან, მაგრამ რადგანაც ძნელი საკეთებელია ვერაფერი გააწყვეს, მთავრობამაც ვერ აღმოგვიჩინა დახმარება. ხსენებულ გზაზე მსვლელობა აქვთ გურიის თითქმის 12 საზოგადოებას, აშკარაა, რომ ამ გზის გაკეთება დიდ სარგებლობას მოიტანს.

აცანაში ხვნა თესვის გარდა მისდევენ მეაბრეშუმეობას, აკეთებენ საუკეთესო ქურებს, კრამიტებს (ქერბინს) და სხვა და სხვა ჭურჭლეულობას. ამ ბოლო ხანებში შემოიღეს ბაღების გაშენება, ჩაის თესვა და სხვა.

მართველობა ძრიელ ცუდათ მიდის აცანაში, შემოსავალ-გასავალი მუდამ აწეწილია, რისთვისაც საზ. ყრილობა ხშირათ უკმაყოფილებას აცხადებს, მაგრამ ადგილობრივი მოხელეები მაინც არ წითლდებიან.

ისიც ხშირია, რომ მტყუანი იცინოდეს, მართალი კი გულ ამოსკვნილი სტიროდეს. მაგრამ ამაზე შემდეგ.

გასული წლის დეკემბერში ა-ს საზოგადოებას ყავს არჩეული ახალი მამასახლისი ნესტორ ჩხაიძე, რომელიც ერთხმათ არჩეულია საზოგადოებისაგან. საზოგადოება მას დიდის ნდობით უყურებს.

ვნახოთ, როგორ გაამართლებს ჩვენს მოლოდინს ახალი მამასახლისი.

ივანე ზურაბიშვილი.

აჭარლების დახმარება.

მივიღე აზოვის ბანკში შეკრეფილი აჭარლებისა და დამშეულთა სასარგებლოთ 35 მ. და 10 შ.

სია შემომწირველთა:

ალ. მიხ. კაჩაუნოვმა 8 მ., ივ. ის. პურადიშვილმა 6 მ., გ. ი. ვარლამოვმა 4 მ., ლ. ზ. ჩხენკელმა 3 მ., ვ. ქ. შარაშიძემ 3 მ., ი. ლ. ჭყუნიამ 2 მ, ს. მ. მღებროვმა 1 მ., და 10 შ., ე. ა. ორუშაძემ 1 მ. და 10 შ., ი. ა. გრეჩუხამ 1 მ., მ. ი. ანდრონიკოვმა 1 მ., ნ. ს პლესნინმა 1 მ., დ. პ. ნიშნიანიძემ 1 მ., კ. ზ. ლიტოვჩენკომ 10 შ., ი. კ. ნაჭყებიამ 10 შაური, დ. ს. ჩარგეიშვილმა 10 შ, თ. ო. ბენიძემ 10 შ., ი. ი. ბენიძემ 1 აბ., ს. პ. ჟულიევმა 3 შ., მ. მ. ლანჩავამ 3 შ. სულ 35 მ. და 10 კ.

მივიღე აგრეთვე პელაგია ლორიას ასულისაგან 5 მ. აჭარლების სასარგებლოთ ნაცვლად პანაშვიდის გადახდისა მისი ტრაღიკულათ გარდაცვალებულის ძმის ალექსანდრეს სულის მოსახსენებლად.

გამგეობა ქუთ. განყოფ. ულრმეს მადლობას სწირავს ყველა ზემოდ დასახელებულ შემომწირველს.

ხაზინ. **გრ. გველესიანი.**

ანგარიში

„ერთ ფინჯან ჩაისა“, რომელიც გაიმართა 14 ივნისს, ქ. ქუთაისში ქართველ ქალთა ერთი ჯგუფისაგან.

სულ შემოვიდა 517 მ. 55 კ
დაიხარჯა . 156 მ. 56 კ.
დარჩა . . 360 მ. 97 კ.

დაწვრილებითი ანგარიში დაიბეჭდება შემდეგ ნუმერში.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოუცხადოთ ქვემო დასახელებულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და აცანის (გურია) უფასო წ-ს სამკითხველოს დახმარება აღმოუჩინეს:

ერმალოზ კ. გეგენავამ—ლამპა ღირებული 12 მან., ფერშალმა ექვთიმე ორაგველიძემ 8 მან. და ათი შ., ალექსანდრე ჩხაიძემ—აკაკის სურათი ჩარჩოებში ჩასმული 8 მან. ღირებული, გერონტი ფ. ჩხაიძემ—შოთა რუსთველის სურათი 8 მან. ღირებული თავისი ჩარჩოთი და ვლადიმერ ფ. ჩხაიძემ ხატი მაცხოვრის 5 მან. ღირებული.

გამგეობის წევრი ივანე ჩხაიძე.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის ერთ-ერთ ნუმერში მოვათავსო ეს მოკლე წერილი.

ხუთიოდე დღის წინათ, ქუთაისში ყოფნის დროს, ვისმენდი საოცარს, დაუჯერებელ ამბებს შესახებ სამხედრო საშიშროებისა, რომელიც ვითომც წარმოადგენს ამ ჟამათ აბასთუმანში ცხოვრება. დღეს აბასთუმანში ჩამოსვლისას მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გამოვაცხადო, რომ, თუმცა მომავლისთვის წინასწარმეტყველების საქმეში სრულიად უმწეო ვარ, მაგრამ დღეისათვის კატეგორიულად ვამოწმებ სრულს სიწყნარესა და სიმშვიდეს, რომელიც აქ სუფევს. მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს—მეთქი იმიტომ, რომ ამით სარგებლობას მოვუტან მრავალ ავადმყოფს, რომელთაც აბასთუმანში ყოფნა ესაჭიროებათ და მასთან ადგილიდან ვერ დაძრულან ყალბი ხმების გამო. იმავ ავადმყოფთა საგულისხმოდ ვაცხადებ, რომ ოთახების ფასმა დაიკლო 20—40% წინანდელთან შედარებით, ხოლო სანოვაგე ცოტა გაძვირდა, გარდა რძისა, რომლის ფასმაც წინანდელ ფასთან შედარებით, კიდეც იკლო. ამინდი ჯერჯერობით წვიმიანია.

ნიკ. ჯორჯიკია

რედ.-გამომ. ი. თ. ცინცაძე.

ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რეზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჰეჰების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

აბანოს მოიჯარადრე **ად. დვალაძე.** თ.

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

ფასი ყდით 2 აბაზი.

თვ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ თ.

ნებადართულიასამხედრო ცენზორისაგან.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში